

# სასაღისო ჯაჭვები

სუკრათიბიანი დამატება

გაზეთის № 409.

კვირა, 25 სექტემბერი 1911 წ.

დამატების № 72



მხერხავა. ნახტი კოტე ქვეთარაძისა.





დ. ტალხტაის ხურათი, ეს სურათი ახალგაზდა ბაღსანს ვასილ ბეენაშვილს ტფილისში მიხეილის საავადმყოფოს ეზოში დარგულ ყვავილებიდან გაუკეთებია. ყვავილთა ფერადობა და სიმადლე ისე ხელოვნურად არის შეხმატკბილებული, რომ ფოტოგრაფიულ სურათის შთაბეჭდილებას ახდენს.

# მლისაბედი ბეჭედი

ა მ ბ ა ვ ი

(დახასრული \*)

III


შობის დღესასწაულების მიწურულები იყო. ელისაბედის ოთახებში შეგირდების ჩვეულებრივი ევალ-ხივილი არ ისმოდა, ყველანი სახლებში წასულ-წამოსულიყვნენ. ის-ის იყო ბინდდებოდა, ელისაბედი მარტოდ მოკუნტული მოს-ჯდომოდა დამტვრეულ თუნუქის ფეხს, რომელსაც ფეხების მაგიერ აგურები ჰქონდა ამოწყობილი და მიქრალს ფეხზე გაცივებულ სხეულს ითბობდა. გარედ ციოდა და გამალბეული წუწუნებდა ქარი. დროგამოშვებით სახლის გვერდიო გავლებულ ტელეგრაფის მავაულებს ისეთ ნაირად სამგლო-ვიაროდ ააწუწუნებდა, რომ ადამიანს შეჰზარავდა, ტანში ჟრუანტელი დაუვლიდა. უბერავდა ქარი, ურახუნებდა და არ ასვენებდა სახლის სახურავს, ფანჯრებს, კარებებს. ფეხის წინ მჯდომარე მოკრუნჩხულ ელისაბედი ბუნების სიაჯ-კაცესა და სიმკაცრეს თითქოს შეეშინებინა, მოერკალა, მოებღუნდა და გაკვივებული ძვალ-რბილი შეეათუთქა.

ზის ფეხის წინ ელისაბედი, წინ წამოყოფილ თავისთვის ხელები ბოძებად შეუდგავს და თავის წარსულის მოგონებაშია გართული, წვრალ-წვრილად იგონებს ყოველივე წვლილს თავის გაქირვება-დაღბინებისას. ბევრი აღარაფერი ახსოვს ამ წარსულიდან ელისაბედს, დროთა ვითარებამ ბევრი რამ დაავიწყა, ბევრი წყვილით დაჩრდილა და შავი ზეწარი გადააფარა. ან კი რა აქვს სიამოვნებით მოსაგონი ელისა-ბედს ამ წარსულში, წარსულს მისთვის ხომ ძიმწარის მეტი არაფერი დაუღვივებია და ერთხელაც არის არ გაუხარე-ბია. აი ამ წარსულს იგონებს ელისაბედი და თან გულს სიამით უცემს, აღარაფრით აგდებს განვლილს მწუხარებას, შვილი, თავისი მარგალიტი, თავისი სიცოცხლე ეხლა სამსა-ხურში ჰყავს, დავაჟკაცდა და ადამიანი გახდა. რაღა უჭირს ეხლა? მთელი დღეები ეხლა იმასღა შესთხოვს ღმერთს, რომ დღეგრძელი იყვეს მისი პლატონი, ღმერთმა კარგი საბედო მისცეს და მის კოლშვილიანობას შეასწროს. ავის შემდეგ კი ელისაბედი უღარდელად მოკვდება, შვილის ჯავრი არ

ჩაყვება სამარეში და ამ ტკბილს ოცნებაში, ამ ტკბილს ფიქრში ისე გაერთო და აეხლართა ელისაბედს აზრები, რომ ვერც კი შეამჩნია სრული შემოღამება, სანათის ანთე-ბაც კი დაავიწყდა. მოულოდნელად ვიღამაც კარები დააკა-კუნა, ელისაბედი შეხტა, საჩქაროდ წამოხტა, მივარდა კა-რებს და რა მოესმა „დებეშა არის თქვენს სახელზედაო“, მთლად აცხაცახებულ-ათრთოლებულმა ამ მოულოდნელის შემთხვევით, რის წვალებით ძლივს აანთო ლამზარი, გამოარ-თვა ტელეგრაფი და ჯიღრე წააკიანებდა ვისმე გული ათას-ნაირად უცემდა და შიშის ხვითქი გადასდიოდა. მთელს თა-ვის სიცოცხლეში ელისაბედს დებეშა არასდროს მიელო და ან კი ვინ გამოუგზავნიდა, ვისთანა ჰქონდა საქმე და ან ვისა სჭიროდა ბისი თავი, რომ დებეშით ეცნობებინა რამე. დებეშის შინაარსმა საშინლად დაალონა ელისაბედი, პლატონი სწერდა: მოვდივარ და რკანის გზის სადგურზე და-მიხვდით. ელისაბედს კარგს არაფერს ეუბნებოდა ეს დებეშა: თუ ჩემი შვილის თავს არაფერია, რატომ ერთხელ წერილით არაფერი მომწერა და არ შემატყობინა, რომ ამა და ამ დროის მივალ და მოლოდანი გქონდესო. ელისაბედს ათას-ნაირად ეღრღნებოდა გული და ვერ მოესვენა. ჯერ კიდევ მატარებლის მოსვლამდის დიდი ხანი იყო, რომ საბრალო ელისაბედი ელდა ნაკრავით გავარდა სადგურზე და შვი-ლის მოლოდინში მოუსვენრად გასცქეროდა გზას.

მატარებელიც მოვიდა. ვაგონიდან ჩამოვიდა გამხდარი, ჩაყვითლებული, აცხაცახებულ-მიმტკნარებული, მთლად გა-მოცვლილი პლატონი, ერთი ამხანაგი თან მოჰყვა, რადგანაც მარტო სიარული არ შეეძლო. პლატონს ჩამომავლობითი სენი-ქლეკი გამოსჩენოდა, დიდი ხანია ავადმყოფობდა, მაგრამ თავს იმაგრებდა, არც არავის უმხელობდა თავის ავადმყოფობას და დედას ხ-მ ერთ სიტყვასაც არა სწერდა, რადგანაც არ უნდოდა მოხუცი დედა შეეწუხებინა და შეეშფოთებინა. მაგრამ ავადმყოფობა თავისას არ იშლიდა და შეუძლებე-ლადა ხდოდა მისთვის სამსახურს, ექიმმა და უმფროსმა ურჩიეს სამსახურისთვის დროებით თავი დაენებებინა და სახლში წამოსულიყო დასასვენებლად და სამკურნალოდ.

ელისაბედი შვილის ავადმყოფობამ მოჰკვეთა, გული გაუპო და დაუღარა. სრულიად სხვა გვარად მოელოდა საბ-რალო არსება შვილის ნახვას და ნახეთ რა მოუვიდა! აკვ-



† 1911 წ. 2 ენკენისთვის.  
მღვ. მიხეილ თამარაშვილი.  
ხენტა მარინელას (იტალიაში) ტრადიკულად დაღუპული  
ახტარაკოსი.

\*) იხ. სურათებიანი დამატება, № 71.





გერმანელთა ახალშენი ელენენდარფი (განჯის მახლობლად).

ნესლა, ატირდა, ცრემლის ნაკადთ გარდაიქცა მის სხეულის ყოველივე სიმი. ელისაბედი დიდსულოვნობით მაღავედა ამ ვარამს: შვილს არასდროს არ უჩვენებდა ცრემლებს და მუდამ ანუგეშებდა:

— ნუ გეშინიან, ჩემო ტკბილო არსება, ისე გაქმევ-გასმევ, ისეთ ნაირად დავტრიალდები, ისეთს ექიმებს გიშოვნი, რომ სულ მოკლე ხანში ერთიან გაგკურნონ. რამდენი ავადმყოფი ყოფილა, რომ მორჩენილა. აიგერა, გამდლიანთ სიკო, შენი ნაამხანაგარი, გადაღებული ავადმყოფი იყო, არავის ეგონა იმისი მორჩენა, მაგრამ, ღვთის მაღლიათ, დღესაც ფეხზე დადის.

ასე ამხნევებდა ელისაბედი თავის შვილს, გულში კი ექვი ჰქონდა შეპარებული და გაორკეცებულის მხნეობით შესთხოვდა ღმერთს შვილის განკურნებას. როცა კი შვილი მიიძინებდა, ელისაბედი აიღებდა ლოცვანს, დადებოდა ხატის წინ და ლოცულობდა, ლოცულობდა გრძნობით, სასოებით, მთელის თავისის არსებით. ისეთ ნაირად შესთხოვდა ზეციერს, ისეთს მეტანიასა იყრიდა, ისეთს სასოებას გამოჰხატავდა მთელი მისი არსება, მთელი მისი მოქმედება ლოცვის დროს, რომ მხოლოდ გულქვა ადამიანს ამ სურათის დამნახველს არ შეეებრალეობდა იგი და ხელს არ გაუწვდოდა საშველად და სახსნეოდ. მთელი მისი არსება, მთელი მისი გულის ყური, მთელი მისი იმედი ღვთისაკენ იყო მიპყრობილი. ცხარე ცრემლები, ცრემლები თხოვნისა და კდემა-მუდარებისა გულის სიღრმიდან გამონათქვამი, დაბალუბით ჩამოსდიოდა, ასველებდა მის ლოცვანს და ზვარაკად ეწირებოდა. მასა სწამდა, ეჯერებდა, რომ ეხლა ღვთის მეტი, რომელიც გამკითხავია და შემწე ყოველ ქარიზობრისა და გლახაკისა, ვერავინ უშველიდა. სწამდა გულმხურვალედ და წმიდა სასოებით, რომ თუ მოისურვებდა ზეციერი მამა და მიიღებდა მის ლოცვას, მისი შვილი განიკურნებოდა და ამ რწმენასთან ერთად ისეთის ღმობიერებით აღაპყობდა ხოლმე თვალებს ზეციერისაკენ, რომ დარწმუნებული იყო. ეს კდემა მისი სულისა, ზეცას ასწვდებოდა,


უფლის დიდებას ეპკურებოდა და მის ლოცვა-ვედრებას გადასცემდა.

ელისაბედი სთვლიდა, ითვალისწინებდა თავის წარსულს, ხომ არ შესცოდა როდისმე უფალს და იმის გამო არ მოსდის ასეთი უბედურება. მაგრამ მას შემდეგ, რაც ქალაქში ჩამოვიდა და ქმარი მოუკვდა, ერთი ბეწვა, ერთი მცირე რამეც არის ღვთის საწყენი საქმე არა ჩაუდენია რა. ყოველთვის უკლებლივ დადიოდა წირვა-ლოცვაზე, წელიწადში ორჯელ ზიარებას იღებდა, მარხვა არ გაუტენია, ღვთის სახელი ცუდად არ უხსენებია და არც დაუგმია.

— არა, არა! უნდა უშველოს უფალმა, უშველის, არ გასწირავს საბრალო ელისაბედს!

და იგი ხელ-მეორედ და ხელ-მესამედ იწყებდა მეტანიას, ლოცვას, ღვთის ვედრებას, განუწყვეტლივ და ჩაუფერხებლივ, ვიდრე პლატონი გაიღვიძებდა. ეხლა ეს მეტანია, ეს ლოცვა ისეთ სულიერ საჭიროებად, სულიერ საზრდოდ და არსებობის პურად გარდაექცა, რომ უნდოდა სულ ელოცა, ევედრებინა ღვთისთვის თავისი შვილის ხსნა, შველა და განკურნება ეთხოვნა. სწამდა, რომ რაც მეტსა სთხოვდა, რაც უფრო ხშირად გაახსენებდა ღმერთს თავის გაჭირებას, ღმერთი უფრო მიჰხედავდა და ამიტომ, ჩაიგდებდა თუ არა თავისუფალ დროს, მაშინვე მხად იყო სამეტანიოდ. ეს ამოდენა დევივით ადამიანი, ჯან-ღონით სავსე, ჭირსა და ვარამში გამოკვერილი, მთლად ჩამოდნა ყვითელი სანთელივით, ცრუნებად ჩამოიწურა და სულ სხვა ფერი და სახე მიიღო. ეხლა მისთვის ყველაფერს შვილის მოვლა, მისთვის ღვთის ვედრება შეადგენდა, ლოცვა, მეტანია დაუსრულებელი და ამ ლოცვაში აღარც პური ახსოვდა, აღარც სასმელ-საჭმელი და თითქოს განგებ კრიკა ჰქონდა შეკრული და განხორციელებულ ლოცვად, ვედრებად და ღვთისმოსავად უნდოდა გადაქცეულიყო.

იმნაძის ქვრივი გაიანეც ჩამოვდა სოფლიდან; გაიგო თუ არა პლატონის მოსვლა და იმისი ავადმყოფობა, მაშინვე გამოექანა სოფლიდან ელისაბედის დასახმარებლად და სანუგეშებლად. ეხლა ისაც თავს ევლებოდა პლატონს, უფლიდა და ჰპატრონობდა, რაც კი შეეძლო.



გერმანელთა ახალშენი ელენენდარფი (განჯის მახლობლად). (იხ. ჩვენი გაზეთის ფელეტონები).

IV

დროთა მდინარეობა თავის სრბოლას არ იშლიდა, მისი შეყენება არავის არ შეეძლო. ერთხელევე მოშლილის და დაავადებულ პლატონის უკურნებელ სენისაგან კამთელემა შეუძლებელი იყო. დრო თავის დაღს ასვამდა, ის თანდათან უარესობაში მადიოდა და ელისაბედს გული უსკდებო-



და, დღე მუდამ შვილს დასტრიალებდა, ელისაბედი ეხლა გაორკეცებული მზრუნველობით, ფარვანასავით ევლებოდა გარს შესტრფოდა, შეზხაროდა.

მაგრამ პლატონი ღლითი-დღე უკან მიდიოდა, აშკარად ამჩნევდა ამას გულდამწვარი დედა და გენიის ცეცხლი ედებოდა მის გულ-ღვიძლს.

— არ ვიცი, რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე! უფალო მოგვხედე, მწე ეყავ ქვირვი-ოხერსა და ჩემგვარს დავრდომილსა! და თან ისეთნაირად ამოიოხრა მიხწნულმა ელისაბედმა, თითქოს თან ამოატანა მთელი ქვეყნის ნაღველიო.

— რა გაშინებს, რა გული გაგტეხია, ექიმი არ ამბობს გაზაფხულზე სამკურნალოდ აბსთუმანში წაიყვანეთ და მორჩებოა?!— გულს უკეთებდა და ანუგეშებდა გაიანე.

— არა, არა, მაგას ეხლა ღმერთის მეტი ვერაფერ უშველის, ის არის ყველას ექიმი და მკურნალი, იმას უნდა მივმართო, იმას უნდა შევევედრო, კაცის წამალი მაგას ვერ არგებს, ვერა!— გატაცებით ამბობდა ელისაბედი.

— ჰო, ჰო უღეთოდ არაფერი კეთდება ქვეყანაზე, მე თავს უნდა შემოშავლოთ ჩემს შვილს, ღმერთმა მე მომკლას, მე შემეწიროს, მე ამამაფაროს სამარეს მაგის მაგიერ და ეგ კი უვნებელი და ცოცხალი დარჩეს! მტკიცე გადაწყვეტილებითა სთქვა ელისაბედმა და თან გადაჭხედა გაიანეს, თითქოს უნდა გაიგოს მისი აზრიო.

— ენგრე ვქნათ, ენგრე, ეგ ყველაფერს ამჯობინებს, — მიუგო ცოტა ფიქრის შემდეგ ფაფოდია გაიანემ. — აი, ფალავანდიანთ გიგოც გადადებული ავადმყოფი იყო,

მე, დედა შემოველოთ ავადმყოფისთვის, სამგზივ ირგვლივ შემოეტარებინათ ავადმყოფისათვის და ღმერთსაც ერუქებინა მისი სიცოცხლე და დედა შეეწირნა. აი, გვარამაძიანთ ქვირვი არ გახსოვს, ამას წინად რომ გადაიკვალა, იმასაც ენგრე ექნა— და ჩამოჰყვა კიდევ სხვა და სხვა მაგალითებს ფაფოდია.

მეორე დღეს რამდენიმე დედაბერს დაუძახეს და როდესაც პლატონს ეძინა ირგვლივ სამჯერ წაღმა სამჯერვე უკლმა შემოუტარეს ელისაბედი პლატონის სარეცელს, თან რაღაც ლოცვას ამბობდნენ და ოხრავდნენ. როცა ეს ამბავი გაათავეს, ყველამ ერთად ხატის წინ დაიჩოქა და ზეციერს შეევედრნენ შეეწყნარებინა მათი ვედრება და პლატონის მაგიერ მსხვერპლად ელისაბედი შეეწირნა.

ელისაბედი ამის შემდეგ ცოტა დამშვიდდა, ყველაფერი ეხლა ღვთისა და განგებისათვისა ჰქონდა მინდობილი. ამასთანავე გრძობდა, რომ უქეიფოთა ხდებოდა, ავადმყოფობდა, აღარაფრის თავი აღარა ჰქონდა, კამა-სმის მაღაც დაეკარგა და ლანდივით დაიარებოდა. მაგრამ გულში კი უხაროდა ელისაბედს, ეკონა ეს სწორედ ასე უნდა იყვისო, ეხლა ის უნდა გახდეს ავად, შეეწიროს ზვარაკად თავის შვილს, სამაგიეროდ კი მისი აპომავალი მზე, მისი სული და გული განიკურნება, კარგად გახდება და დედასაც მეტი რა უნდა!

პლატონსაც, დედის აზრით, თითქოს უკეთესობა დაეტყო. ახალ-ახალ საქმელებსა თხოულობდა, იმ საქმელებს, რომლებსაც წინედ ახლოს არც კი ეკარებოდა, ეხლა ხარბადა სქამდა. ელისაბედს უხაროდა, რაკი მაღა გაეხსნა, მო-

ლონიერდება, ძალა მიეცემა და განიკურნება და ფრთა შესხმულ ფარვანასავით ევლებოდა და შეზხაროდა.


— თუმცა დედა ვერ მოესწრება მის ბედნიერებას, ცოლშვილიანობას, მაგრამ ეჰ, ჩემს თავს ვილა დაეძებს, სულ ერთი არ არის იქ ხომ გავიგებ, რომ ჩემი პლატონი ბედნიერია, ჯანმთელია, კარგი მეოჯახეა და ესეცა კმარა ჩემთვის, გული გამიბრწინდება და კმაყოფილი ვიქნები, იტყოდა ხოლმე თავის გულში ელისაბედი. და დაჯერებული, რომ ზეციერი მის ლოცვას უსათუოდ შეისმენდა და მას შეიწირავდა მსხვერპლად შვილის მაგიერ, ღმერთს მადლობას უძღვნიდა და ხელეზ გაპყრობილი წინდაწინვე გუნდრუქს უკმევდა უზენაესს.

ერთხელ, როცა ელისაბედი ხატის წინ იდგა, ლოცულობდა და მადლობას უძღვნიდა უზენაესს, შვილის მიმტკნარებული ხმა მოესმა:

— დედი, დედი, ჩქარა ფანჯრები—გააღე, კარები... სახლში ჰაერი არ არი... ჩქარა... ისეთის ოღნავის, მიმტკნარებულის ხმით წარმოსთქვა ავადმყოფმა პლატონმა, რომ ლოცვა-ვედრებაში გართულმა ელისაბედმა ძლივს გაიგო შვილის ხმა.

ერთის თვალის დახამხამებაზე წამოვარდა, ეცა კარს და ფანჯარას, გააღო საჩქაროდ და მყისვე ინსტიქტიურად ხელახლივ უკანვე მივარდა შვილთან გულგახეთქილი პლატონი უკვე-ღარა სუნთქავდა, უნძრავად ილო.

— ვაიმე შვილო! — ერთი კი წამოიძახა უშველგებლის ხმით ელისაბედმა და გულწასული პლატონის სარეცელის წინ დაეცა გაშხლართული.



გერმანელთა ახალშენა ელენენდორფი (განჯის მახლობლად).

მის ხმაზე საჩქაროდ შემოვარდა გაიანე, დაუძახა მეზობლებს, შეექნათ ერთი ვაი უშველგებელი, გლოვა წუხილი. ელისაბედიც როგორც იყო მოაბრუნეს, მაგრამ იგი მთლად შერყეული შეშლილს უფრო ჰგავდა, ვიდრე ქუუთამყოფელ ადამიანს.

— არცინ არ შემინდო, არცინ არ შემეწყალა, არცინ არ მიშველა! რათ მინდა ეს სიცოცხლე, რას ვაქნევ მას, ჩემის შვილის შემდეგ!— გაჰკიოდა ისეთას შესაზარავის ხმით, თითქოს უნდოდა მთელი ქვეყანა ჩამოანგრეოს და თავის შვილს ანაცვალოსო და ამასთანავე გამწარებული ახეთქებდა თავსა კედლებსა და მაგიდას.

ელისაბედის დამშვიდება შეუძლებელი იყო; ვერც გაიანეს და ვერც სხვა ვისმეს მისი დამშვიდება ვერ შეეძლოთ. როცა კუბო სახლიდან გამოჰქონდათ, ელისაბედი კარებში გადაეღობა და საშინელის ხმით შეჰკვივლა:

— არა, არა!.. ნუ მიგაქვთ!.. მე, მე წამიყვანეთ, მე მივეცი პირობა ზეციერს, მე უნდა შევეწირე მაგის მაგიერ, მე წამიღეთ, მე დამქოლეთ!.. მაგასთან რა ხელი გაქვთ!— ეგ უმანკოა, სიცოცხლე სწყურიან.

ისეთ ნაირად იკვილა ელისაბედმა და დაეკრა მკვდრის სხეულს, რომ ძლივს გამოჰკლიჯეს ხელიდან.

ამ თავზარდამცემმა ამბავმა საბედისწერო გავლენა იქონია ელისაბედზე, იგი თავის ქუუაზე აღარ იყო, ჩქარა მთელის სხეულის ანთება გაუჩნდა და სულ მოკლე ხანში შვილის კვალს გაჰყვა.

ზ. ელილი.

